

საქართველოს, როგორც რეგიონალური

ჰაბის როლი და შესაძლებლობა ბიზნესის განვითარებისთვის

ვასილ სულაშვილი

გიორგი ურთაშვილი

გიორგი მარიდაშვილი

*სამაგისტრონაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიზნესის სკოლის ფაკულტეტზე ბიზნესის
ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ბიზნესის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი აბაშიშვილი, ბიზნესის ადმინისტრირების
დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2015

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია საქართველოს, როგორც რეგიონალური ჰაზის როლი და შესაძლებლობა ბიზნესის განვითარებისთვის. საქართველო წარმოადგენს ევროპა-სამხრეთ კავკასია-ცენტრალური აზიის სატრანსპორტო სისტემის საკვანძო ქვეყანას. ხელსაყრელი გეოპოლიტიკური ადგილმდებარეობიდან გამომდინარე საქართველოს უჩნდება რეალური შანსი გაატაროს და გადაამუშაოს დამატებითი ტვირთების ნაკადი, რაც საგრძნობლად გაზრდის ქვეყნის შემოსავლებს, შექმნის მეტ სამუშაო ადგილს, ხელს შეუწყობს წარმოებისა და ვაჭრობის განვითარებას, რაც თავის მხრივ უმნიშვნელოვანეს როლს შეასრულებს ისეთი დარგების აღორძინებისათვის, როგორიცაა სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, ტურიზმი. გამართული სატრანსპორტო სისტემა განაპირობებს მაღალი ხარისხის სერვისს, იაფ და ეფექტურ მიწოდების ქსელს.

საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების ძირითად მატერიალურ საფუძველს წარმოადგენს სხვადასხვა სახის ტრანსპორტი. მისი დანიშნულებაა მსოფლიოს სხვადასხვა ბიზნეს-სტრუქტურებს შორის კავშირის დამყარება კოოპერაციის და კოორდინაციის, საერთაშორისო კონვენციებისა და სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულების საფუძველზე. საქართველოზე გამავალი ევროპის და აზიის დამაკავშირებელი სატრანსპორტო დერეფანი „ტრასეკა“ აღიარებულია როგორც პრიორიტეტული და დატანილია გლობალური სატრანსპორტო ქსელების ევრაზიულ რუკებზე. ამ სატრანსპორტო დერეფანში შავ ზღვას ერთ-ერთი ძირითადი ადგილი უჭირავს. მასზე გადის ევროპისა და აზიის ქვეყნების დამაკავშირებელი სახმელეთო - საზღვაო მაგისტრალები, საქართველოს საზღვაო პორტები კი წარმოადგენენ უმნიშვნელოვანეს სატრანსპორტო-ლოჯისტიკურ ცენტრებს.

საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა არ უნდა იქნეს გამოყენებული მხოლოდ ტრანზიტისთვის.

საქართველოს აქვს რესურსი იყოს რეგიონალური ჰაბი.

აქ შექმნილია სათანადო გარემო საერთაშორისო კომპანიების განთავსებისა და რეგიონალურისა ფინანსოდა ლოგისტიკური ცენტრის ჩამოყალიბებისათვის.

ძირითადი სამიეზო სიტყვები: რეგიონალური ჰაბი, ლოგისტიკური ცენტრი, „ტრასეკა“.

Abstract

The paper presents Georgia, as a role of regional hub and the opportunity for business development. Georgia is a key country of the Europe-South Caucasus-Central Asia transport system. Due to the favorable geopolitical location, Georgia has a real chance to carry and process an additional flow of goods, which will significantly increase the country's income, create more jobs, promote the development of production and trade, which, in turn will pay such an important role in the revival of industry sectors, such as agriculture, trade, tourism. A well functioning transport system ensures high quality service, cheap and efficient delivering network.

The main material basis for development of the Foreign Economic Relations is the different types of transport. Its purpose is to establish cooperation between the world's various business structures according to the cooperation and coordination, international conventions and the interstate agreement. "TRACECA", a transport corridor between Asia and Europe through Georgia is recognized as a priority and are marked on the Eurasian maps of the global transport network. The Black Sea is one of the main place in this transport corridor. On it pass the overland - motorways of the sea connecting Europe and Asia, and Georgian maritime ports are the most important transport and logistics centers.

Georgia's geographic location should not be used only for transit. Georgia has the resources to be a regional hub. Here is the proper environment for the placement of the international companies and for the establishment of the regional financial and logistics center.

Key words: regional hub, logistics center, “TRACECA”,